„გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის“

შესწორებული წესდება

შესწორების თარიღი: 2022 წლის 29 სექტემბერი

სახელწოდება, ადგილი და მიზნები

მუხლი 1: სახელწოდება, ადგილი

1. ასოციაციას ეწოდება “გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაცია“ – „Union Internationale des Editeurs“ – „Internationale Verleger-Union“ – „Unión Internacional de Editores“ – „الدوليين الناشرين اتحاد“ – „Международная ассоциация издателей“ – „国 协会 - "União Internacional de Editores"; ასოციაციის ადგილსამყოფელს წარმოადგენს ჟენევა, შვეიცარია.

2. ასოციაცია რეგულირდება წინამდებარე წესდებით, რომელშიც პერიოდულად შედის ცვლილებები 25-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესდებით, რეგულირდება შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 60-ე და შემდგომი მუხლებით - იხ. ოფიციალური ტექსტის ბმულისთვის სქოლიო[1].

მუხლი 2: მიზნები

1. ასოციაცია არის არაკომერციული, არაპოლიტიკური, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო და სხვა ფორუმებზე წარმოადგენს მსოფლიოს გამომცემლების ინტერესებს.

2. ასოციაციის მიზნებია:

ა) გამომცემლების უფლებათა მხარდაჭერა და დაცვა ინტელექტუალური ნაწარმოებების თავისუფლად გამოსაქვეყნებლად და გასავრცელებლად, იმ პირობით, რომ ისინი პატივს სცემენ ამ ნაწარმოებებთან დაკავშირებულ ყველა კანონიერ უფლებას საკუთარ ქვეყანაში და

---

[1] https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19070042/index.html#id-ni2-ni6-ni8; ასოციაციის კანონი რეგულირდება შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის (SCC) 60-79-ე მუხლებით (დაწყებული ფორმირებით/I. პირთა კორპორატიული ჯგუფით და დამთავრებული დაშლით). ზემოთ მარჯვენა კუთხეში გადადით ენის ხელმისაწვდომ ვერსიებზე (E, F, G, I). SCC-ის ზოგადი დებულებები ხელმისაწვდომია აქ: https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19070042/index.html

საერთაშორისო დონეზე. ასოციაციის მოვალეობაა მტკიცედ დაუპირისპირდეს თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერ მცდელობას ან მუქარას;

ბ) საავტორო უფლებების პრინციპების მხარდაჭერა და დაცვა ყველა კანონიერი საშუალებით, რომელზეც (საავტორო უფლებების პრინციპებზე) დამოკიდებულია შემოქმედებითი ნაწარმოებების ავტორობის, გამოცემისა და გავრცელების წახალისება და საავტორო უფლებების დაცვა ყველა იმ დარღვევისგან, რამაც შეიძლება შეზღუდოს ავტორებისა და გამომცემლების უფლებები;

გ) წიგნიერების ხელშეწყობა;

დ) გამომცემლობის, როგორც კულტურის სექტორისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის, წარმოჩენა და მხარდაჭერა.

3. ამ მიზნების სისრულეში მოყვანის მიზნით, ასოციაცია ქმნის კომიტეტებს, ორგანოებს ან კონფერენციებს და, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სხვა საქმიანობებს.

წევრობა

მუხლი 3: წევრობა

1. წევრობა ღიაა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც:

ა) იზიარებენ ასოციაციის მიზნებს და აქტიურად უწყობენ ხელი და იცავენ გამომცემლების ინტერესებს;

ბ) იცავენ ასოციაციის წესდებას, ხოლო ასოციაციების შემთხვევაში თავად ეყრდნობიან ნებაყოფლობით წევრობას და დემოკრატიული თვითორგანიზაციის პრინციპებს;

გ) იხდიან წლიური საწევროს; და

დ) თანამშრომლობენ ასოციაციასთან ერთობლივი ინიციატივების, განაცხადების, რეზოლუციებისა და სხვა პოლიტიკის კუთხით და მხარს უჭერენ მათ.

2. წევრობის შესახებ ყველა განაცხადი წერილობითი ფორმით წარედგინება პრეზიდენტს და ექვემდებარება კენჭისყრას საერთო კრებაზე, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა. უფლებამოსილების დასადგენად საგანაცხადო პროცედურებს ადმინისტრირებას უწევს წევრობის კომიტეტი „წევრად მიღების, წევრობის შენარჩუნებისა და შეწყვეტის გაიდლაინების“ შესაბამისად, რომელსაც იღებს და პერიოდულად ასწორებს საერთო კრება. აპლიკანტებს, ისევე როგორც წევრებს, შეიძლება მოეთხოვოთ ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მასალების წარდგენა.

მუხლი 4: წევრები

ასოციაციის წევრები შეიძლება იყვნენ:

1. სრულუფლებიანი წევრები; ან

2. დროებითი წევრები; ან

3. ასოცირებული წევრები; ან

4. საგანგებო წევრები; ან

5. მფარველი წევრები.

მუხლი 5: სრულუფლებიანი წევრები

1. სრულუფლებიანი წევრობა შეიძლება მიენიჭოს გამომცემელთა ეროვნულ ასოციაციებს, რომლებიც მაქსიმალური მოცულობით წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნის გამომცემლებს.

2. სრულუფლებიანი წევრობა თითო ქვეყანაში შემოიფარგლება თითო წევრით. ერთი და იგივე ქვეყნის გამომცემელთა ასოციაციები შეიძლება გახდნენ ერთობლივი სრულუფლებიანი წევრები, თუკი ისინი პრეზიდენტს წარუდგენენ შეთანხმების წერილობით მტკიცებულებას, თუ როგორ უნდა გაიზიარონ უფლებები, მათ შორის, ხმის მიცემის უფლება და ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

3. სრულუფლებიანი წევრები იხდიან ყოველწლიურ მოსაკრებელს, რომელიც საერთო კრების მიერ პერიოდულად განსაზღვრება თითოეული სრულუფლებიანი წევრისთვის.

4. სრულუფლებიანი წევრები მონაწილეობას იღებენ ასოციაციის მუშაობაში.

5. სრულუფლებიანი წევრები ნიშნავენ ერთ ან ორ დელეგატს საერთო კრებაზე დასასწრებად. სრულუფლებიანი წევრების დელეგატებს საერთო კრებაზე აქვთ ხმის მიცემის უფლება; აღმასრულებელ კომიტეტსა ან ასოციაციის სხვა ორგანოში არჩეულნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ დელეგატები.

6. ერთობლივ სრულუფლებიან წევრებს შეუძლიათ საერთო კრებაზე დასასწრებად მიავლინონ ხმის უფლების არმქონე კიდევ თითო დამკვირვებელი თითო ორგანიზაციიდან, რომელიც არ არის წარმოდგენილი დელეგატის მიერ.

7. წევრობის კომიტეტი სრულუფლებიან წევრებს წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5ა) დროებითი წევრები

1. გამომცემელთა ეროვნული ასოციაციები, რომლებიც ჯერჯერობით არ აკმაყოფილებენ სრულუფლებიანი წევრობის ყველა კრიტერიუმს, მაგრამ მიღებული აქვთ სათანადო ზომები საკუთარი მისწრაფების დემონსტრირებისთვის, შეიძლება მიღებულ იქნენ ასოციაციის დროებით წევრებად.

2. დროებითი წევრები იხდიან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილ წლიურ საწევროს.

3. დროებით წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის მუშაობაში.

4. დროებით წევრებს შეუძლიათ საერთო კრებაზე დანიშნონ მაქსიმუმ ორი დელეგატი, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება. დელეგატები ან დროებითი წევრების წარმომადგენლები არ

შეიძლება იყვნენ კანდიდატები აღმასრულებელი, გამოქვეყნების თავისუფლების ან წევრობის კომიტეტების ან ასოციაციის სხვა ორგანოს არჩევნებში.

5. დროებითი წევრები იღებენ ვალდებულებას შექმნან, სადაც ეს მიზანშეწონილია, ერთიანი ეროვნული ასოციაცია, რომელსაც აქვს სრული წევრობის უფლებამოსილება და რომელიც რეგულარულად წარუდგენს პრეზიდენტს ამ კუთხით მიღწეული პროგრესის ანგარიშს.

6. წევრობის კომიტეტი დროებით წევრებს წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 6: ასოცირებული წევრები

1. ასოცირებული წევრობა შეიძლება მიენიჭოს გამომცემელთა საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამომცემელთა რეგიონულ ორგანიზაციებს და სპეციალიზებული საგამომცემლო ინტერესების გამომცემელთა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-3 მუხლის 1) ა)-გ პუნქტით დადგენილ პირობებს.

2. ასოცირებული წევრები იხდიან მათსა და აღმასრულებელ კომიტეტს შორის შეთანხმებულ წლიურ საწევროს.

3. ასოცირებულ წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ასოციაციისა და აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში პრეზიდენტის მოწვევით.

4. ასოცირებული წევრის პრეზიდენტი ან - მათი ქმედუუნარობის შემთხვევაში - ასოცირებული წევრის გენერალური მდივანი ან დირექტორი შეიძლება დაესწროს საერთო კრებას დელეგატის რანგში, მაგრამ მას არ ექნება საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება და არ შეუძლია ამ რანგში არჩეულ იქნეს ასოციაციაში რაიმე თანამდებობაზე.

5. ასოცირებული წევრის დელეგატი შეიძლება მიწვეულ იყოს პრეზიდენტის მიერ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად, მაგრამ მას არ ექნება ხმის მიცემის უფლება და არ შეუძლია ამ რანგში იყოს კანდიდატი აღმასრულებელი კომიტეტის ან ასოციაციის სხვა ორგანოს არჩევნებში.

6. წევრობის კომიტეტი ასოცირებულ წევრებს წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7: საგანგებო წევრები

1. საგანგებო წევრობა შეიძლება მიენიჭოს გამომცემელთა ეროვნულ და საერთაშორისო ასოციაციებს, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი გახდნენ სრულუფლებიანი წევრები მე-5 მუხლის შესაბამისად, მაგრამ აკმაყოფილებენ მე-3 მუხლის 1) ა)-დ) პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

2. საგანგებო წევრები იხდიან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილ წლიურ საწევროს.

3. საგანგებო წევრები მონაწილეობას იღებენ ასოციაციის მუშაობაში. მათი წარმომადგენლები შეიძლება არჩეულ იყვნენ ასოციაციის ნებისმიერ ორგანოში. მათ შეუძლიათ დანიშნონ ერთი დელეგატი საერთო კრებაზე დასასწრებად. მათ არ აქვთ საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება.

4. წევრობის კომიტეტი საგანგებო წევრებს წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8: მფარველი წევრები

1. მფარველი წევრობა შეიძლება მიენიჭოს კომპანიებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ექსკლუზიურად გამომცემლებს, ან პირებს, რომლებსაც სურთ მხარი დაუჭირონ ასოციაციის მიზნებს, როგორც ეს მითითებულია მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში.

2. მფარველი წევრები იხდიან მათსა და აღმასრულებელ კომიტეტს შორის შეთანხმებულ წლიურ საწევროს.

3. მფარველი წევრები ასოციაციის მუშაობაში მონაწილეობენ პრეზიდენტის მოწვევით. მათი წარმომადგენლები ამ რანგში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ასოციაციის რომელიმე ორგანოში. მათ შეუძლიათ დანიშნონ ერთი დელეგატი საერთო კრებაზე დასასწრებად, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

4. წევრობის კომიტეტი მფარველ წევრებს წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9: საპატიო დელეგატები

1. პირები, რომლებმაც მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს ასოციაციას, საერთო კრებამ შეიძლება დაინიშნონ საპატიო დელეგატებად.

2. საპატიო დელეგატები არ იხდიან საწევროს.

3. საპატიო დელეგატებს შეუძლიათ დაესწრონ საერთო კრებას, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

4. საპატიო დელეგატებს შეუძლიათ დაესწრონ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს პრეზიდენტის მოწვევით, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

5. საპატიო დელეგატები არ შეიძლება იყვნენ კანდიდატები აღმასრულებელი კომიტეტის ან ასოციაციის სხვა ორგანოს არჩევნებში.

6. აღმასრულებელი კომიტეტი საპატიო დელეგატებს წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას 16.2.გ მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10: გადადგომა, წევრობის შეწყვეტა და შეჩერება

1. წევრს შეუძლია დატოვოს ასოციაცია ნებისმიერი კალენდარული წლის ბოლოს, პრეზიდენტისადმი არანაკლებ ოთხი თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

2. საერთო კრებას შეუძლია შეაჩეროს ან შეწყვიტოს წევრობა ასოციაციაში, თუ წევრი:

ა) ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს; ან

ბ) ზიანს აყენებს ასოციაციის რეპუტაციას ან ინტერესებს; ან

გ) აღარ არის უფლებამოსილი წევრობისთვის მისი ამჟამინდელი წევრობის კატეგორიიდან გამომდინარე.

3. ასოციაციის წევრობა ავტომატურად შეჩერდება, როდესაც წევრი არ იხდის საწევროს ინვოისით დადგენილ ვადაში - თუკი წევრობის კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

4. შეჩერების პერიოდში დელეგატებს და უფლება-შეჩერებული წევრის სხვა წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება დაესწრონ საერთო კრებას ან მისცენ ხმა და არ შეიძლება იყვნენ კანდიდატები აღმასრულებელი კომიტეტის ან ასოციაციის სხვა ორგანოს არჩევნებში. დირექტორებს ან თანამდებობის პირებს, რომლებიც წარმოადგენენ უფლება-შეჩერებულ წევრს, არ აქვთ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასწრების ან ხმის მიცემის უფლება.

5. წევრობის შეწყვეტის შემდეგ წევრობის ფინანსური ვალდებულებები წყდება წევრობის ბოლო კალენდარული წლის ბოლოს. წევრობის შეწყვეტა იწვევს ასოციაციის ნებისმიერ ქონებაზე რაიმე პრეტენზიების დაკარგვას.

ასოციაციის ადმინისტრაციული სტრუქტურა

მუხლი 11: ადმინისტრაციული სტრუქტურა

1. ასოციაციას ხელმძღვანელო ორგანოებია:

ა) საერთო კრება;

ბ) აღმასრულებელი კომიტეტი;

გ) პრეზიდენტი;

დ) თანამდებობის პირები;

ე) გენერალური მდივანი.

2. პრეზიდენტს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება იმოქმედოს და დადოს სავალდებულო შეთანხმებები ასოციაციის სახელით და კანონიერად წარმოადგინოს ასოციაცია მესამე პირების წინაშე ყველა საკითხთან დაკავშირებით. ასოციაციის პრეზიდენტს შეუძლია წერილობითი სახით მოახდინოს საკუთარი ვალდებულებებისა და ასოციაციის სახელით მოქმედების უფლებამოსილების დელეგირება ნებისმიერ სხვა თანამდებობის პირის ან გენერალურ მდივნის მიმართ. თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია ან პრეზიდენტი ქმედუუნაროა ან სხვაგვარად ფიზიკურად არ შეუძლია მოქმედება, ასოციაციას წარმოადგენს ვიცე პრეზიდენტი (18.5-ე მუხლის შესაბამისად). იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული შეუძლებელია პრაქტიკული მიზეზების გამო, ასოციაციას მესამე პირების წინაშე ყველა

საკითხთან დაკავშირებით წარმოადგენს გენერალური მდივანი ხაზინადარის ან ასოციაციის სხვა თანამდებობის პირის თანხმობით.

3. პრეზიდენტი და ყველა თანამდებობის პირი მოქმედებს ანაზღაურების გარეშე და არ იღებს ხელფასს.

4. პრეზიდენტს და ყველა თანამდებობის პირს უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარ დამტკიცებული და გონივრული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ასოციაციის წინაშე მათი მოვალეობების შესრულებასთან, ამასთან, რეკომენდაციის მიხედვით, მიზანშეწონილია უარი თქვან საკუთარ მოთხოვნაზე, თუ განსაკუთრებული გარემოებები სხვაგვარად არ მოითხოვს. პრეზიდენტის და/ან თანამდებობის პირთა ასანაზღაურებელი ხარჯების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის ბიუჯეტის ხაზს, რომელსაც წლიდან წლამდე განსაზღვრავს საერთო კრება.

მუხლი 11ა: მუდმივი კომიტეტები

1. ასოციაციას ჰყავს შემდეგი მუდმივი კომიტეტები:

ა) წევრობის კომიტეტი;

ბ) გამოქვეყნების თავისუფლების კომიტეტი; და

გ) საავტორო უფლებათა კომიტეტი.

ნებისმიერი მუდმივი კომიტეტი შეიძლება შეიქმნას, დაიშალოს, გაერთიანდეს ან სხვაგვარად შეიცვალოს ასოციაციის სათანადოდ მოწვეული საერთო კრების დადგენილებით; ყოველი მუდმივი კომიტეტი უზრუნველყოფს და საკუთარ საქმიანობას არეგულირებს 25-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გაიდლაინებით.

2. აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია შექმნას სამუშაო კომიტეტები ან სამუშაო ჯგუფები მე-16 მუხლის შესაბამისად; ასევე, შეუძლია შექმნას დამატებითი სამუშაო კომიტეტები ან სამუშაო ჯგუფები ასოციაციის რომელიმე მიზნის მიღწევის ან მასთან დაკავშირებული რაიმე საკითხის გადასაჭრელად.

მუხლი 12: საერთო კრება

1. საერთო კრება წარმოადგენს ასოციაციის უმაღლეს ორგანოს. საერთო კრებას იწვევს პრეზიდენტი ან - მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში - ვიცე-პრეზიდენტი წელიწადში მინიმუმ ერთხელ ან ნებისმიერ დროს - არანაკლებ ცხრა სრულუფლებიანი წევრის მოთხოვნით.

2. საერთო კრება შედგება ყველა წევრის დელეგატებისაგან, დირექტორებისგან, თანამდებობის პირებისა და პრეზიდენტისგან. სხვა წევრების დელეგატები, გარდა მფარველი წევრებისა, უნდა იყვნენ გამომცემლები ან არჩეულნი წევრის ხელმძღვანელობიდან. თითოეული წევრი საკუთარი შეხედულებისამებრ ნიშნავს ერთ ან ორ დელეგატს. დელეგატები საკუთარ ფუნქციებს ასრულებენ მანამ, სანამ წევრი არ აცნობებს სამდივნოს (ა) ახალი ან შემცვლელი

დელეგატ(ებ)ის შესახებ. წევრის ხელმძღვანელობისგან შეიძლება წარმოდგენილ იყოს თითოეული წევრის მხოლოდ ერთი დელეგატი.

მუხლი 13: საერთო კრების უფლებამოსილებები და მოვალეობები

1. საერთო კრება განსაზღვრავს ასოციაციის ზოგად სტრატეგიას, ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს და გამოქვეყნების თავისუფლების კომიტეტისა და წევრობის კომიტეტის წევრებს. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის მიზნების მისაღწევად, კერძოდ, საერთო კრებაზე წარმოებს ხმის მიცემა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) წესდების და მასში შეტანილი შესწორებების დამტკიცება;

ბ) მუდმივმოქმედი კომიტეტების ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

გ) ასოციაციის ზოგად პოლიტიკის განსაზღვრა;

დ) ასოციაციაში ახალი წევრების მიღება;

ე) საერთო საწევრო პოლიტიკის[2] განსაზღვრა, ყოველი წევრის წლიური ხელმოწერის დადგენა 5-8-ე მუხლების შესაბამისად და შეთანხმებული სააბონენტო პოლიტიკის მიღმა სამომავლო შენატანების კუთხით ნებაყოფლობითი ვალდებულებების დამტკიცება;

ვ) ანგარიშების დამტკიცება;

ზ) წევრობის შეწყვეტა ან შეჩერება მე-10 მუხლის შესაბამისად;

თ) აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორების და წევრობისა კომიტეტისა და გამოქვეყნების თავისუფლების კომიტეტის წევრების არჩევა;

ი) გამონაკლის შემთხვევებში აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორის უფლებამოსილების მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გახანგრძლივება;

კ) პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის არჩევა;

ლ) საპატიო დელეგატების დანიშვნა;

მ) აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებების დამტკიცება;

ნ) სამდივნოს ადგილსამყოფელის განსაზღვრა;

ო) ასოციაციის ლიკვიდაცია 26-ე მუხლის შესაბამისად.

2. საერთო კრება თავის უფლებამოსილებას სხდომებს შორის პერიოდში გადასცემს აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასრულებელი კომიტეტი შესაძლო მოკლე ვადებში აცნობებს ასოციაციის თანამდებობის პირებს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მან

---

[2] გამოწერის საერთო პოლიტიკა, საწევროების დაანგარიშების ყველა შესაბამისი კრიტერიუმის ჩათვლით, უნდა იყოს დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი ნებისმიერი წევრისთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

მიიღო ამ რანგში და ანალოგიურად აცნობებს საერთო კრებას მომდევნო შესაძლო შესაძლებლობის შემთხვევაში.

მუხლი 14: კენჭისყრა საერთო კრებაზე

1. საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ სრულუფლებიანი წევრების დელეგატებს.

2. თითოეულ სრულუფლებიან წევრს აქვს ორი ხმა. თუ სრულუფლებიანმა წევრმა დანიშნა ორი დელეგატი, თითოეული დელეგატი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. თუ სრულუფლებიანმა წევრმა დანიშნა მხოლოდ ერთი დელეგატი, ეს დელეგატი სარგებლობს ორი ხმის უფლებით.

3. თუ დელეგატი ვერ ახერხებს კრებაზე დასწრებას, მას ან წარმოდგენილ სრულუფლებიან წევრს უფლება აქვს დანიშნოს რწმუნებული ხმის მიცემის მიზნით, იმ პირობით, რომ რწმუნებულის დანიშვნის შესახებ შეტყობინება კრების დაწყებამდე გადაეცემა პრეზიდენტს. რწმუნებული შეიძლება იყოს არსებული დელეგატი ან სხვა წარმომადგენელი ქვეყნიდან, რომელსაც წარმოადგენს სრულუფლებიანი წევრი. არცერთ დელეგატს არ შეუძლია ჰქონდეს ოთხზე მეტი ხმა.

მუხლი 15: აღმასრულებელი კომიტეტი

1. აღმასრულებელი კომიტეტი მოიწვევა პრეზიდენტის მიერ წელიწადში არანაკლებ ორჯერ ან არანაკლებ ოთხი დირექტორის მოთხოვნით.

2. აღმასრულებელი კომიტეტი შედგება პრეზიდენტისა და არანაკლებ ცხრა დირექტორისაგან, ვიცე-პრეზიდენტის ჩათვლით.

3. სრულუფლებიან წევრებს, რომლებსაც ფაქტობრივად შეტანილი აქვთ ასოციაციის შეთანხმებული მთლიანი გამოწერის მინიმუმ 5% ან 45,000 შვეიცარული ფრანკი სააბონენტო გადასახადი სახით, როგორც გამოითვლება საერთო სააბონენტო პოლიტიკის საფუძველზე, ან რომელთაც საერთო სააბონენტო პოლიტიკის საფუძველზე აღებული აქვთ ვალდებულება შეინარჩუნონ ადექვატური სააბონენტო დონე მინიმუმ კიდევ სამი წლის განმავლობაში, უფლება აქვთ დელეგატთა რიგებიდან წარადგინონ თითო დირექტორი და, შესაბამისად, წესდებით გათვალისწინებული (საწესდებო) დირექტორები. წესდებით გათვალისწინებული (საწესდებო) დირექტორების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს საერთო კრების არჩევნების შედეგად განსაზღვრულ დირექტორთა რაოდენობას.

4. სხვა დირექტორთა თანამდებობის შესავსებად საერთო კრება ირჩევს დირექტორებს - 16(1)(ე) მუხლის შესაბამისად შექმნილი ქვეკომიტეტის რეკომენდაციით, როდესაც ეს შესაძლებელია, იმ პირობით, რომ:

ა) აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორთა მინიმუმ ორი მესამედი უნდა იყოს გამომცემელი. არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ გამომცემლებს, იმ შემთხვევაში, თუ მათი არჩევა დირექტორთა ხანდაზმულობის თანამიმდევრობით ნიშნავს, რომ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის პირობები არ არის დაკმაყოფილებული; და

ბ) აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა უნდა იყოს დაბალანსებული რეგიონული წარმომადგენლობის თვალსაზრისით; და

გ) აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა უნდა იყოს დაბალანსებული გენდერული თვალსაზრისით.

5. თუ უკვე არ არის წარმოდგენილი აღმასრულებელ კომიტეტში, IPA-ის მომდევნო კონგრესის ორგანიზატორ წევრს შეუძლია დელეგატებისგან წარადგინოს ერთი დირექტორი გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცების შემთხვევაში. ამ დირექტორს ექნება ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მომავალ კონგრესთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებზე; იგი ვალდებულია თავი შეიკავოს ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებული კენჭისყრისგან.

6. ამ ქვეპუნქტის დებულებების გათვალისწინებით, დირექტორები ინიშნებიან ან აირჩევიან სამი წლის ვადით, მათი არჩევიდან მომდევნო კალენდარული წლის 1 იანვრიდან; გადამდგარი დირექტორები შეიძლება ხელახლა დაინიშნონ ან არჩეულ იყვნენ კიდევ ერთი სამი წლის ვადით. 15(5) მუხლის მიხედვით დანიშნული დირექტორის უფლებამოსილება სრულდება IPA-ს კონგრესის კალენდარული წლის დასრულებისას.

7. დირექტორის უფლებამოსილების გაგრძელების შეუძლებლობის ან სხვა მიზეზის გამო ვაკანსიის შექმნის შემთხვევაში აღმასრულებელ კომიტეტს გადამდგარი დირექტორის მიერ წარმოდგენილ წევრთან კონსულტაციით შეუძლია დანიშნოს შემცვლელი დირექტორი დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. დირექტორის შემცვლელის რანგში საქმიანობა არ არღვევს პირის უფლებას შემდგომში დანიშნულ იქნეს დირექტორად.

8. თუ აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორად არ არის არჩეული ხაზინადარი, იგი მოწვეულ იქნება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად ხმის სრული უფლებით.

9. მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეებს იწვევენ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად წინადადებების წარდგენის და აღმასრულებელი კომიტეტის ყველა საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლებით, მაგრამ ხმის უფლების გარეშე.

10. სამუშაო კომიტეტ(ებ)ის თავმჯდომარე(ებ)ს იწვევენ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად დამკვირვებლის რანგში.

11. ასოცირებული წევრის თავმჯდომარეს იწვევენ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად დამკვირვებლის რანგში - მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

12. აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია აცნობოს წევრს თავისი გადაწყვეტილებების შესახებ ყოველი სხდომის დაწყებამდე დღის წესრიგის და ოქმის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტი ამ საკითხს გონივრულად განიხილავს კონფიდენციალურად.

მუხლი 16: აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილებები და მოვალეობები

1. ასოციაციას მართავს აღმასრულებელი კომიტეტი. მას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები ასოციაციის მიზნების შესასრულებლად; კერძოდ, იგი:

ა) ახორციელებს ასოციაციის ზოგად პოლიტიკას;

ბ) ზედამხედველობას უწევს სამდივნოს;

გ) ნიშნავს გენერალურ მდივანს;

დ) ქმნის ან ითხოვს ნებისმიერ სამუშაო კომიტეტს ან სამუშაო ჯგუფს და ნიშნავს მის თავმჯდომარეს პრეზიდენტობის ვადით;

ე) ნიშნავს დროებით ქვეკომიტეტს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მხარს უჭერს შესაბამის კანდიდატებს დირექტორის თანამდებობაზე ასარჩევად;

ვ) ნიშნავს დროებით ქვეკომიტეტს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ხელს უწყობს შესაფერისი კანდიდატების კენჭისყრას ვიცე-პრეზიდენტად ან პრეზიდენტად;

ზ) ადმინისტრირებას უწევს ასოციაციის სახსრებს, მათ შორის, ნებისმიერი ჭარბი თანხების განკარგვას სარეზერვო ფონდების გარდა;

თ) ნიშნავს ხაზინადარს;

ი) განიხილავს და რეკომენდაციას უწევს ბიუჯეტის და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებას;

კ) ანგარიშს აბარებს გენერალურ ასამბლეას 16(2)(ბ)(ბ) მუხლის შესაბამისად წევრის ხელმოწერაზე ნებისმიერი უარის შესახებ.

2. აღმასრულებელი კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) რეკომენდაციას გაუწიოს წლიურ ხელმოწერას;

ბ) ხაზინადარის წარდგინებით უარი თქვას საწევრო ხელმოწერაზე გამონაკლის შემთხვევებში მოცემულ ფინანსურ წელს;

გ) გენერალურ ასამბლეას წარუდგინოს პირები საპატიო დელეგატების რანგში.

მუხლი 17: კენჭისყრა აღმასრულებელ კომიტეტში

1. თითო დირექტორს აქვს თითო ხმა.

2. დირექტორს, რომელსაც არ შეუძლია დაესწროს სხდომას, რომელზეც მიმდინარეობს კენჭისყრა, უფლება აქვს დანიშნოს სხვა დირექტორი რწმუნებულის სახით, იმ პირობით, რომ რწმუნებულის დანიშვნის შესახებ წინასწარი ეცნობება პრეზიდენტს. არცერთ დირექტორს არ შეუძლია ისარგებლოს სამზე მეტი ხმის უფლებით.

ასოციაციის ოფისები

მუხლი 18: პრეზიდენტი

1. პრეზიდენტი ასოციაციის ოფიციალური წარმომადგენელია. იგი უძღვება გენერალური ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტის და თანამდებობის პირების სხდომებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

2. პრეზიდენტი აირჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გენერალურ ასამბლეაზე და იგი თანამდებობაზე რჩება არჩევის შემდეგ 1-ლი იანვრიდან ორი წლის ვადით. მიმავალ პრეზიდენტს ორი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება არჩეულ იქნეს ასოციაციის რომელიმე თანამდებობაზე. ნებისმიერ გამომცემელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის თანამდებობისთვის ჩატარებულ კენჭისყრაში, იმ პირობით, რომ ის არ წარმოადგენს მიმავალ პრეზიდენტს.

3. პრეზიდენტი სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში წყვეტს საკუთარი ასოციაციის წარმომადგენლის რანგში საქმიანობას.

4. პრეზიდენტმა რეგულარულად უნდა გაიაროს კონსულტაცია თანამდებობის პირებთან ასოციაციის პოლიტიკასა და საქმიანობასთან დაკავშირებით.

5. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის ან საქმიანობის სხვაგვარად შეუძლებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს ვიცე-პრეზიდენტი მომდევნო საერთო კრებამდე, რომელზეც არჩეულ იქნება ახალი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი.

6. პრეზიდენტს ენიჭება ასოციაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება (მუხლი 11.2).

მუხლი 19: ვიცე-პრეზიდენტი

1. ვიცე-პრეზიდენტი მხარს უჭერს პრეზიდენტის საქმიანობას, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მისი მოადგილის მოვალეობას. ვიცე-პრეზიდენტი აირჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გენერალურ ასამბლეაზე და იგი თანამდებობაზე რჩება არჩევის შემდეგ 1-ლი იანვრიდან ორი წლის ვადით. ვიცე-პრეზიდენტობის ვადის დასრულების შემდეგ იგი ჩვეულებრივ საკუთარ კანდიდატურას წარადგენს საპრეზიდენტო არჩევნებში. პირს, რომლის პრეზიდენტობის ვადაც იწურება, არ აქვს უფლება არჩეულ იქნეს ვიცე-პრეზიდენტად გენერალურ ასამბლეაზე.

2. ნებისმიერ გამომცემელს შეუძლია იყაროს კენჭი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე, იმ პირობით, რომ იგი არ წარმოადგენს მიმავალ პრეზიდენტს.

3. იმ შემთხვევაში, თუ ვიცე-პრეზიდენტი გადადგება ან სხვაგვარად ვერ ასრულებს საკუთარ მოვალეობას, ან იკავებს პრეზიდენტის თანამდებობას მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თანამდებობის პირები ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დანიშნავენ შესაბამის პირს მომავალ გენერალურ ასამბლეამდე, რომელზეც არჩეულ იქნება ახალი ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 20: ხაზინადარი

1. ხაზინადარს ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი სამი წლის ვადით. შესაძლებელია ხაზინადარის ხელახლა დანიშვნა.

2. ხაზინადარი კონსულტაციებს უწევს გენერალურ მდივანს ყველა ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, გამოწერის, საბუღალტრო აღრიცხვის, ინვესტიციების და ა.შ. საკითხებში. ხაზინადარი ამზადებს წლიურ ბიუჯეტს და ანგარიშგებას, რომელსაც წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტს შესამოწმებლად და გენერალურ ასამბლეას - დასამტკიცებლად.

3. ხაზინადარს იწვევენ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად და კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად მისი თანამდებობის ვადის განმავლობაში.

4. 4. ხაზინადარს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს აღმასრულებელ კომიტეტს წევრის ინდივიდუალური რთული გარემოებების სარწმუნო მტკიცებულებების საფუძველზე, რათა წევრს ხელმოწერაზე უარი ეთქვას მოცემულ ფინანსურ წელს.

5. ხაზინადარი პრეზიდენტთან კონსულტაციით ნიშნავს დამოუკიდებელ აუდიტორს, რომელიც ამზადებს წლიურ ანგარიშს.

მუხლი 21: თანამდებობის პირები

1. ასოციაციის თანამდებობის პირებში შედიან ვიცე-პრეზიდენტი, ხაზინადარი, მუდმივი კომიტეტების თავმჯდომარეები, სამუშაო კომიტეტ(ებ)ის თავმჯდომარე(ებ)ი და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დანიშნული დირექტორები (ორ დირექტორამდე).

2. თანამდებობის პირები კონსულტაციებს უწევენ პრეზიდენტს და მხარს უჭერენ ასოციაციის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობას.

3. თანამდებობის პირთა სხდომებს იწვევს პრეზიდენტი ან რომელიმე თანამდებობის პირი.

4. თანამდებობის პირები საქმიანობენ ასოციაციის თანამდებობის პირის ან დირექტორობის, ან პრეზიდენტობის ვადით, იმის მიხედვით თუ რომელი ვადაა უფრო ხანმოკლე.

მუხლი 22: გენერალური მდივანი

1. გენერალურ მდივანს ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი. გენერალურ მდივანი პასუხისმგებელია ასოციაციის მართვაზე და ხელმძღვანელობს ასოციაციის სამდივნოს. პრეზიდენტის და/ან აღმასრულებელი კომიტეტის მითითებების შესაბამისად, გენერალური მდივანი შეხვედრებზე და გარე ორგანიზაციებთან ურთიერთობაში მოქმედებს ასოციაციის წარმომადგენლის რანგში. იგი ორგანიზებას უწევს და ახორციელებენ წარმომადგენლობით და სამეკავშირეო საქმიანობას, რომლებიც აუცილებელია ასოციაციის პოლიტიკის მხარდაჭერისა და განხორციელებისთვის და მისი მიზნების მიღწევისა და აღიარებისთვის.

2. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია გენერალური ასამბლეის და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომების ორგანიზებაზე. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია შეხვედრის თარიღამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე დღის წესრიგის და, ხელმისაწვდომობის მიხედვით, ყველა იმ დოკუმენტის გავრცელებაზე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს გენერალური ასამბლეის ან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

3. ასოციაციის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია გენერალური მდივანი. სამდივნოს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები იფარება ხელმოწერებითა და შემოსავლის სხვა წყაროებით.

4. გენერალური მდივანი დამატებით პასუხისმგებლობებს იღებს სხვა თანამდებობის პირების ან აღმასრულებელი კომიტეტის მითითებით.

ადმინისტრაციული პროცედურები

მუხლი 23: კვორუმი

1. თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გენერალური ასამბლეის სხდომებისთვის საჭიროა კვორუმი, როდესაც სხდომას ესწრებიან ან წარმოდგენილნი არიან ორმოცდაათი ან მეტი პროცენტის ხმის უფლების მქონე დელეგატები.

2. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე ქვორუმი დადგენილად ითვლება, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია სხდომაზე დასწრების უფლებამოსილების მქონე დირექტორთა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი.

მუხლი 24: ხმის მიცემა

1. გენერალური ასამბლეის და აღმასრულებელი კომიტეტის ყველა გადაწყვეტილება საჭიროებს ხმათა უმრავლესობას, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ასოციაციაში თანამდებობის კანდიდატები ასევე საჭიროებენ ხმათა უმრავლესობით დამტკიცებას, თუ კონკრეტულ საარჩევნო პროცედურებში სხვა რამ არ არის შეთანხმებული. ცარიელი ხმები მხედველობაში არ მიიღება. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს პრეზიდენტი.

2. გენერალური ასამბლეის ან აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ფორმატის გარეთ კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს მიმოწერის გზით, ანუ ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული საშუალებებით.

3. პრეზიდენტს შეუძლია გენერალურ ასამბლეას შესთავაზოს მიმოწერის ფორმატის კენჭისყრა, რომელიც ჩატარდება მინიმუმ ცხრა სრულუფლებიანი წევრის მოთხოვნით.

4. პრეზიდენტს შეუძლია გამოაცხადოს აღმასრულებელი კომიტეტის კენჭისყრა მიმოწერით - საკუთარი შეხედულებით ან ან არანაკლებ ოთხი დირექტორის მოთხოვნით.

5. პრეზიდენტი, სრულუფლებიანი წევრები ან დირექტორები გენერალურ მდივანს აცნობებენ მიმოწერით ხმის მიცემის შესახებ, რის შემდეგაც გენერალური მდივანი შეიმუშავებს კენჭისყრის პროცედურას და წარმართავს მას. გენერალური მდივანი აცხადებს პროცედურას, რომლის დაცვაც სავალდებულოა დელეგატების ან დირექტორების ხმის მისაცემად მოწვევისას.

6. მიმოწერით ან ელექტრონული საშუალებებით ხმის მიცემა ძალმოსილია და აქვს იგივე ძალა და ეფექტი, როგორც გენერალური ასამბლეის ან აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ან არჩევნებს, იმ პირობით, რომ კენჭისყრაში მონაწილეობას

იღებს გენერალური ასამბლეის ან აღმასრულებელი კომიტეტის შესაძლო ხმების ორმოცდაათი პროცენტი.

წესდება

მუხლი 25: ცვლილებები წესდებაში ან/და გაიდლაინებში

წესდებაში და/ან გაიდლაინებში 3.2, 11a.1, 13 და 24.1 მუხლებით გათვალისწინებული ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებები განიხილება გენერალური ასამბლეის მიერ, იმ პირობით, რომ ეს წინადადებები შედგენილია წერილობითი ფორმით პრეზიდენტის სახელზე ან პრეზიდენტის მიერ. ასეთი წინადადება წარდგენილ უნდა იქნეს გენერალური ასამბლეის სხდომამდე სულ მცირე ექვსი კვირით ადრე.

ლიკვიდაცია და დავის გადაწყვეტა

მუხლი 26: ლიკვიდაცია

გენერალურმა ასამბლეამ შეიძლება დაითხოვოს ასოციაცია. ამ კუთხით გადაწყვეტილება მოითხოვს დამსწრე ან წარმოდგენილი დელეგატების სამი მეოთხედის უმრავლესობით დამტკიცებას და კენჭისყრას სპეციალურად ამ მიზნით მოწვეულ კრებაზე, რომლის შესახებაც შეტყობინება გაცემულია მინიმუმ ოცდაათი დღით ადრე. 26-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილება ასოციაციის დაშლის თაობაზე არ შეიძლება გატანილ იქნეს კენჭისყრაზე მიმოწერით ან ელექტრონული საშუალებებით. ასოციაციის დაშლის შემდეგ დარჩენილი თანხები ნაწილდება წევრებს შორის დაშლის წინა კალენდარულ წელს გადახდილი საწევრო შენატანების ოდენობის პროპორციულად.

მუხლი 27: მოქმედი კანონი

საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ წესდებით, გადაიჭრება შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 28: ინტერპრეტაცია

ნებისმიერი დავა ამ წესდების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით გადაიჭრება მის ინგლისურენოვან ტექსტზე მითითებით.

მუხლი 29: განმარტებები

ამ წესდებაში:

„ასოციაცია“ ნიშნავს 1(1) მუხლში მითითებულ გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციას.

„დელეგატი“ ნიშნავს გენერალური ასამბლეის დელეგატს, რომელიც დანიშნულია წევრის მიერ მე-12 მუხლის შესაბამისად.

„დირექტორი“ ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, გარდა (ა) პრეზიდენტისა, (ბ) ხაზინადარისა და (გ) ნებისმიერი პირისა, რომელიც მონაწილეობს ხმის მიცემის უფლების გარეშე. ვიცე პრეზიდენტი არის დირექტორი.

„წევრი“ ნიშნავს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ წევრს.

„შეტყობინება“ ნიშნავს წერილობით კომუნიკაციას, ელექტრონული კომუნიკაციის ფორმების ჩათვლით, სადაც გამგზავნი მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული.

„გამომცემელი“ ნიშნავს პირს, რომელსაც აქვს აქტიური ურთიერთობა გამომცემლობასთან.

„ნამსახურობა“ ნიშნავს სტაჟს, რომელიც პირველ რიგში განისაზღვრება დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის ხანგრძლივობით; თუ ორ დირექტორს ერთი და იგივე სამუშაო სტაჟ აქვს, მაშინ უფროსად ითვლება მათგან უფრო ხანდაზმული ასაკის პირი.

„თანამდებობის პირი“ ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს, ხაზინადარს, სამუშაო კომიტეტ(ებ)ის თავმჯდომარე(ებ)ს და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დანიშნული ორამდე დირექტორს.

მიღებულია გენერალური ასამბლეის სხდომაზე 2005 წლის 20 ოქტომბერს; შესწორებები შეტანილ იქნა 2010 წლის 7 ოქტომბერს, 2016 წლის 11 აპრილს, 2017 წლის 12 ოქტომბერს, 2021 წლის 14 ოქტომბერს და 2022 წლის 29 სექტემბერს.